

**თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლის შემცველობა
თაფლში და მისი სამკურნალო თვისებები –
ტყის პიტნა MENTHA LONGIFOLIA (L) HUDS**

ც. ოშაყმაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია მტვრის კონცენტრაციის პირდაპირი დამოკიდებულება თაფლის სამკურნალო მოქმედების დიაპაზონთან.

თაფლოვანი მცენარეები – ფარულთესლოვანი მცენარეების დიდი ჯგუფია, რომელთა ყვავილები-საგან ფუტკრები ნექტარსა და ყვავილის მტვერს აგროვებენ და ამუშავებენ. თაფლოვან მცენარეთა მტვრის მარცვლების საკმაოდ დიდი რაოდენობის უმრავლესობა თაფლში წარმოდგენილია ისეთი კონცენტრაციით, რომელიც თაფლს აძლევს განსაკუთრებულ ხარისხობრივ თვისებებს. თაფლის შეფერილობა, სუნი, გემო, სიბლანტე, ვიტამინების შემცველობა და მისი სამკურნალო თვისებები მთლიანად დამოკიდებულია ყვავილის მტვრის მარცვალზე.

პიტნის მტვრის მარცვალი ექვს ღეროიანია, თითქმის სფეროსებური, პოლუსიდან მოხაზულობით 6 ნაკვეთიანია, ეკვატორიდან კი მომრგვალო ან ელიფსური, პოლარული ღერის სიგრძე 22,5–24,0 მკმ. ეკვატორული დიამეტრიც 25,2–26,4 მკმ. ღერები გრძელი, ვიწრო არასწორი გვერდებით. ღარის მეშბრანა მარცვლოვანია, აპოკლოპიუმის დიამეტრიც –4,2–4,8 მკმ. სიგანე 7,2–9,6 მკმ. ეგზინა 1,2–1,8 მკმ. უთანაბრო სისქის. სკულპტურა ბადისებურია თანაბარუჯრედიანი, მტვრის მარცვალი ყვითელი ფერისაა [5].

ტყის პიტნა *Mentha longifolia (L) Huds* ეკუთვნის ტუჩოსანთა ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფესვთა სისტემა მთავარ ღერძიანია, ღერო დატოტვილია სიმაღლით 40–50 სმ-ის მრავალი ლანცეტისებური ფორმის ფოთლები მოპირდაპირედაა განლაგებული. მცირედ შებუსული თითქმის გლუვია და დაფარული მრავალი ჯირკვლებით, რომლებიც შეიცავენ ეთეროვან ზეთს (1,5–3,5 % მშრალ წონაზე). პატარა ზომის მოღისფერი ყვავილები ღეროს მუხლებში და წვეროზეა განლაგებული. თვითეული ყვავილის ჯამი ზარისებრია, ორტუჩაა, გვირგვინიც ორტუჩაა, ზედა ტუჩი ორნაკვეთიანი ან მთლიანია. ქვედა სამნაკვეთიანია, მტვრიანა ოთხი (ორი მოკლე) გვირგვინის მიღზეა სამთერე ზეთები მიმაგრებული. ბუტკო ერთია, ნაყოფი ოთხი ერთთესლიანი კაკლუჭაა. ყვავის ივლისიდან ოქტომბრამდე [1, 2]. ფუტკრები მისგან იღებენ ნექტარს და ყვავილის მტვერს. თაფლპროდუქტიულობა 1 ჰა-ზე შეადგენს 100 კგ-ს. თაფლი ქარვისფერია, ხასიათდება სასიამოვნო პიტნის არომატით [2, 3, 6].

ყვავილის მტვერი წარმოადგენს რთულ ნივთიერებას, რომლის შემადგენლობაშია ცილები, ნახშირწყლები, ლიპიდები, ნუკლეინმჟავები, ვიტამინები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

თაფლის სამკურნალო თვისებები დიდად არის დამოკიდებული იმ მცენარეთა მტვრის მარცვლების სამკურნალო თვისებებზე, რომელსაც იყენებდა ფუტკარი კვების დროს. ამიტომ თაფლში სხვადასხვა მცენარეთა ყვავილის მტვრის მარცვლის კონცენტრაცია განსაზღვრავს მის სამკურნალო გამოყენების შესაძლებლობებს. საქართველოში არ არსებობს დაწესებული, სადაც მიმდინარეობს თაფლის გამოკვლევა ამ თვალსაზრისით, ამიტომ ყოველი ნაშრომი თაფლის პოლინოლოგიის შესასწავლად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი.

თაფლი უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა არამარტო როგორც მაღალი კვებითი ღირსების პროდუქტი, არამედ როგორც დიეტური და სამკურნალო საშუალება. თაფლით მკურნალობენ კუჭ-მაწლავის ტრაქტის, ნერვიული და ენდოკრინული სისტემების დაავადებებს, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევას, გულის კუნთის მუშაობას და სხვ.

Mentha longifolia (L) Huds – პიტნის ყვავილის მტვრის შემცველობა თაფლში მას ანიჭებს დამაწმენდებელ, ტკივილგამაყუჩებელ, გაზგამომდევნ ნაღველამდენ, ანტისეპტიკურ მოქმედების უნარს. მისი ყვავილის მტვერი მდიდარია C ვიტამინით. იგი საუკეთესო შარდმდენია, მისი თაფლი ხასიათდება პიტნის არომატით და ტკბილი გემოთი, ღია ყვითელი ფერისაა [4].

თაფლის სამკურნალო და კვებითი თვისებები განისაზღვრება თაფლში ამა თუ იმ ყვავილის მტვრის მარცვლების მრავალფეროვნებით, სამკურნალო მოქმედების დიაპაზონითა და ყვავილის მტვრის მარცვლების დომინირებით.

ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 8 გამომცემლობა „მეცნიერება“ 1984 წ.
2. პ. რუტევი, დეილი. მეფუტკრეობის ენციკლოპედია, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1981.
3. საქართველოს ფლორა ტ. XI, 1987
4. Каияс А., Пыльца, издат. апимондий 1985.
5. Куприанова Л. А., Алешина А. А., Пыльца двудольных растений флоры Европейской части СССР, Ленинград. Наука, 1978.
6. Полуденный Л. В., Сотник В. Ф. и др., Эфиромасличные и лекарственные растения, Москва, Колос, 1979.

Резюме

В статье рассмотрен вопрос о концентрации пыльцевых зерен *Mentha longifolium* в меде и прямое влияние его на диапазон лечебного действия.

Целебные свойства меда в большой степени зависят от лекарственного свойства пыльцевых зерен тех растений, которые посещают пчелы во время питания. Концентрация пыльцевых зерен цветковых растений в меде определяет использование его с лечебной целью. Таким образом, цвет меда, аромат, вкус, консистенция, содержание витаминов и его целебные достоинства целиком зависят от состава и концентрации пыльцевых зерен цветковых растений.

Summary

In article the question concerning concentration of pollen grains *Mentha longifolium* in honey and its direct influence on a range of medical action is considered. Healing power of honey depends on medicinal features of pollen grains of those plants visited by bees during feeding.

Concentration of pollen grains of floral plants in honey defines its use for medical purposes. Thus, color of honey, aroma, taste, consistence, contents of vitamins and its curative advantages, entirely depend on the structure and concentration of pollen grains of floral plants.